

## შეტყობინება მეხუთე

ღმერთი როგორც უზენაესი ძალაუფლების მქონე მექოთნე  
გვხდის ჩვენ თავის ჭურჭლებად, თავის კონტეინერებად,  
რათა ჩვენ შევიცავდეთ მას

ადგილები წერილიდან: იერ. 18:1-10, ეს. 64:8; რომ. 9:15-16, 19-23; საქმე. 9:15; 2 კორ. 4:6-7

- I. ღმერთს როგორც ჩვენს უზენაეს მექოთნეს აქვს აბსოლუტური უფლება ჩვენზე, როგორც მის ჭურჭლებზე; ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ დავინახოთ ხედვა ღმერთის უზენაესობისა – იერ. 18:1-10; ესაია 64:8; დან. 4:3, 34-35; რომ. 9:19-23:
- ა. უზენაესობაში იგულისხმება ღმერთის შეუხლუდავი ძალაუფლება, ძალა და პოზიცია – გამოცხ. 4:11; 5:13:
1. როგორც უზენაესი, ღმერთი არის ყველაზე მაღლა, ყველაფრის უკან და ყველაფერში – 3 მეც. 22:19.
  2. ღმერთს აქვს სრული შესაძლებლობა, რომ განახორციელოს ის, რაც მას უნდა, თავისი გულის სურვილის თანახმად და თავისი მარადიული სახლმშენებლობის თანახმად – დან. 4:34-35; ეფეს. 1:4-5, 9-11.
- ბ. რომ. 9:19-23-ში ნათქვამი მიუთითებს ღმერთის უზენაესობაზე:
1. „მის ნებას ვინ აღუდგებაო წინ? ვინ ხარ შენ, ადამიანო, რომ ეკამათები ღმერთს? განა ქმნილება ეტყვის შემოქმედს: რატომ შემქმენიო ასე?“ – მუხ. 19ბ-20:
    - ა) ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, ვინ ვართ ჩვენ; ჩვენ ვართ ღმერთის ქმნილება, ხოლო ის არის – ჩვენი შემოქმედი – ესაია 42:5.
    - ბ) როგორც მისი ქმნილებები, ჩვენ არ უნდა შევეწინააღმდეგოთ მის ჩანაფიქრს ან შევეპასუხოთ მას, შემოქმედს – რომ. 9:20.
  2. „ნუთუ მექოთნეს უფლება არა აქვს თიხაზე, რომ ერთი და იგივე თიხიდან ზოგი საპატიო ჭურჭელი გააკეთოს, ზოგიც უპატიო? – მუხ. 21:
    - ა) ღმერთი არის ჩვენი მექოთნე, ხოლო ჩვენ თიხა მის ხელში; ღმერთი, ჩვენი მექოთნე არის უზენაესი – იერ. 18:1-6; ესაია 64:8.
    - ბ) როგორც ჩვენს მექოთნეს, ღმერთს აქვს აბსოლუტური უფლება ჩვენზე, ჩვენთან დაკავშირებით; მას აქვს სრული უფლება გააკეთოს ჩვენთან დაკავშირებით ყველაფერი, რასაც მოისურვებს; თუ ღმერთი მოინდომებს, მას შეუძლია გააკეთოს ერთი ჭურჭელი საპატიო, ხოლო მეორე უპატიო – იერ. 18:6; ესაია 29:16; 64:8; რომ. 9:21.
- გ. ღმერთის უზენაესობა არის საფუძველი მის მიერ ამორჩევის; მის მიერ ამორჩევა დამოკიდებულია მის უზენაესობაზე – მუხ. 11, 18; 11:5, 28.
- II. ღმერთმა როგორც ჩვენმა მექოთნემ უზენაესი ძალაუფლების თანახმად შეგვქმნა ჩვენ, რათა ჩვენ ვიყოთ მისი ჭურჭლები, მისი სათავსოები, რომლებიც შეიცავენ

თვითონ მას, მისი წინასწარგანსაზღვრის თანახმად – 2 კორ. 4:6-7; ეფეს. 4:6; 3:19ბ; ფილიპ. 2:13; ებრ. 13:20-21; 1 ტიმ. 3:16; 2 ტიმ. 2:20-21; ეფეს. 1:5, 11:

- ა. ღმერთის მიზანი ადამიანის შექმნისას არის ის, რომ გახადოს ადამიანი თავისი ჭურჭელი, თავისი თიხის კონტეინერი, რათა ის შეიცავდეს ქრისტეს როგორც სიცოცხლეს და აივსოს მისით როგორც სიცოცხლით ქრისტეს სხეულის როგორც ღმერთის დიადი ერთობლივი ჭურჭლის, ასაშენებლად, ღმერთის გამოხატულებისათვის – დაბ. 2:7; საქმე. 9:15; რომ. 9:21, 23; 2 კორ. 4:7.
- ბ. ფუნდამენტური სწავლება მთელი წერილისა არის უბრალოდ ის, რომ ღმერთი არის შიგთავსი, ხოლო ჩვენ კონტეინერები, შექმნილნი ამ შიგთავსის მისაღებად; ჩვენ უნდა შევიცავდეთ ღმერთს და ავივსოთ ღმერთით, რათა ჩვენ ვიყოთ საპატიო ჭურჭლები, გაწმიდანებულები, სასარგებლონი ჩვენი ბატონისათვის, გამზადებულები ყოველგვარი კეთილი საქმისათვის – 2 ტიმ. 2:20-21.
- გ. თუ ჩვენ არ შევიცავთ ღმერთს და არ ვიცნობთ ღმერთს როგორც ჩვენს შემადგენლობას, ჩვენ წარმოვადგენთ უაზრო წინააღმდეგობას – ეკლ. 1:2-3, 14.
- დ. პავლეს ყველა თოთხმეტივე წერილი შეიძლება შევაჯამოთ ორი სიტყვით – „გახსნილი ჭურჭელი“:
  1. ის, თუ რამდენად შეუძლია ღმერთს, დაარიგოს თავისი თავი ჩვენში, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გახსნილები ვართ; ღმერთს მხოლოდ ის უნდა, რომ ჩვენ გვიყვარდეს ის და დავრჩეთ გახსნილები მისთვის – 4 მეფ. 4:1-7; მათე 5:3; იოანე 1:16; ესაია 57:15; 66:1-2.
  2. დაცემა იწყება თვითკმაყოფილებიდან; წარმატება იწყება შიმშილითა და წყურვილით – რჯლ. 4:25; ლუკა 1:53; ფილიპ. 1:25; გამოცხ. 3:16-18.

III. თავის უზენაესობაში ღმერთს როგორც ჩვენს მექოთნეს აქვს ძალაუფლება, გახადოს ისინი, ვინც მან ამოირჩია და ვისაც მოუწოდა, წყალობის ჭურჭლები პატივისა და დიდებისათვის – რომ. 9:11, 18, 21-24:

- ა. ჩვენ ვიყავით ამორჩეული ღმერთის მიერ მისი უზენაესი წყალობის თანახმად; ღმერთის წყალობა ვრცელდება უფრო მეტად, ვიდრე ღმერთის ნებისმიერი სხვა თვისება, და გადაგვარჩენს ჩვენ ჩვენი სავალალო მდგომარეობიდან და მივყავართ ჩვენ იმ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება მის მადლასა და სიყვარულს – ეფეს. 2:1-4; ებრ. 4:16; მათე 5:7; 7:1; 9:13:
  1. ჩვენი ბუნებრივი შემადგენლობით, ჩვენ ვიყავით ძალიან შორს ღმერთისაგან და სრულიად უღირსები მისი მადლისა; ჩვენ მხოლოდ უფლება გვქონდა, რომ მიგვეღო მისი წყალობა – ეფეს. 2:4.
  2. ადამიანის დაუმორჩილებლობა შესაძლებლობას აძლევს ღმერთის წყალობას, რომ გამოვლინდეს, ხოლო ღმერთის წყალობას მიჰყავს ადამიანი გადარჩენასთან – რომ. 11:32.

3. ჩვენ ვიყავით შექმნილი იმისათვის, რომ ვყოფილიყავით წყალობის ჭურჭლები, რათა შევიცავდეთ ქრისტეს როგორც წყალობის ღმერთს – 9:11-13, 16, 20-21, 23; გოდ. 3:21-24; ლუკა 1:78-79.
  4. ღმერთის წყალობის დახმარებით ჩვენ გამოვეხმაურეთ სახარებას, მაშინ როდესაც სხვები არ გამოეხმაურნენ, ჩვენ მივიღეთ სიტყვა ქრისტეზე, როგორც სიცოცხლეზე, მაშინ როდესაც სხვებმა უარი თქვეს მის მიღებაზე, და ჩვენ ავირჩიეთ უფლის აღდგენის გზა, მაშინ როდესაც სხვებმა ვერ გადაწყვიტეს, რომ დამდგარიყვნენ ამ გზაზე – ჰიმნი 223, მე-3 პუპლეტი.
- ბ. „მოწყალე ვიქები მათთვის, ვისაც შევიწყალებ“. ...ამრიგად, ეს დამოკიდებულია არა მსურველზე და არა მცდელზე, არამედ შემწყალებელ ღმერთზე“ – რომ. 9:15ა, 16:
1. ჩვენი წარმოდგენა არის ის, რომ მას, ვისაც უნდა ღებულობს სასურველს, და ვინც გარბის, მოიპოვებს იმას, რისთვისაც გარბის – მუხ. 16:
    - ა) ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ღმერთისმიერი ამორჩევა დამოკიდებული იქნებოდა ჩვენს ძალისხმევასა და შრომაზე.
    - ბ) პირიქით, ღმერთისმიერი ამორჩევა არის ღმერთისაგან, რომელიც ავლენს წყალობას; ჩვენ არ გვჭირდება, რომ გვინდოდეს ან ვირბინოთ, რადგან ღმერთი აღმოგვიჩენს ჩვენ წყალობას.
    - გ) თუ ჩვენ გავიგებთ ღმერთის წყალობას, ჩვენ არ ვიქებით დაიმედებული ჩვენს ძალისხმევაზე და იმედი არ გაგვიცრუვდება ჩვენი წარუმატებლობის გამო; ჩვენს უბადრუკ მდგომარეობაში ჩვენ გვაქვს ღმერთის წყალობის იმედი – ეფეს. 2:4.
  2. თუ ჩვენ გვინდა, რომ ვემსახუროთ ღმერთს მის ახალ აღთქმისეულ სახლმშენებლობაში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ის მთლიანად დამოკიდებულია ღმერთის უზენაეს წყალობასთან – რომ. 9:15-16; ებრ. 4:16:
    - ა) თუ ჩვენ გავიგებთ ღმერთის უზენაეს ძალაუფლებას, ჩვენ მადლობას ვეტყვით ღმერთს მისი წყალობისათვის, გავაცნობიერებთ, რომ ჩვენ ვიმყოფებით მისი უზანაესი წყალობის ქვეშ – რომ. 9:15.
    - ბ) გამოთქმა „უზენაესი წყალობა“ აღნიშნავს, რომ ღმერთის წყალობა მთლიანად დამოკიდებულია ღმერთის უზენაესობაზე; ჩვენ ვართ წყალობის ჭურჭლები არა იმიტომ, რომ ჩვენ ასე გადავწყვიტეთ; ამის მიზეზია ღმერთის უზენაესობა – მუხ. 18.
    - გ) ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვმარტოთ ღმერთის წყალობა ჩვენ მიმართ არის ის, რომ თავის უზენაესობაში ღმერთმა გადაწყვიტა გამოევლინა ჩვენთვის ეს წყალობა – მუხ. 15-16, 23.
  3. ღმერთის უზენაესი ძალაუფლების წყალობით ჩვენი გულები მიდრეკილია მისკენ; მისი წყალობის მეშვეობით ჩვენ მიმართ ჩვენ

დღითი დღე ვეძებთ მას – იერ. 29:12-13; რჯლ. 4:29; ქსაია 55:6; ფსალ. 27:8; 105:4; 119:2; ებრ. 11:6.

4. რაც უფრო მეტად დავინახავთ, რომ ყველაფერი დაკავშირებული ჩვენთან დამოკიდებულია დმერთის წყალობაზე, უფრო მეტად ვატარებთ ჩვენს პასუხისმგებლობას უფლის წინაშე; მაგრამ ჩვენი მზადყოფნაც კი, რომ ვატაროთ პასუხისმგებლობა განპირობებულია დმერთის წყალობით.
5. რაც შეეხება დმერთის მიერ აღდგენას, დმერთი ვის მიმართაც იქნება მოწყალე, მას შეიწყალებს.
- გ. რომაელთა მიმართ წერილის მე-9 თავში ნაჩვენებია პრინციპი, რომ ყველაფერი დამოკიდებულია დმერთის წყალობაზე – მუხ. 15-16:
  1. მოციქული პავლე იყენებს ამ პრინციპს ისრაელიანების მიმართ, გვიჩვენებს, რომ ყველაფერი, რაც ხდება მათთან მიმართებით მოხდა დმერთის წყალობით – მუხ. 16, 23.
  2. ჩვენ სულ მცირე ერთხელ მაინც უნდა დავინახოთ დმერთის წყალობა და კონკრეტულად შევეხოთ დმერთის წყალობას – ეფეს. 2:4; მათე 9:13:
    - ა) ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უნდა აგვეხილოს თვალი სულ მცირე ერთხელ მაინც; ჩვენ ერთხელ მაინც უნდა დავინახოთ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია დმერთის წყალობაზე.
    - ბ) დავინახავთ ჩვენ ამას მაშინვე თუ გავაცნობიერებთ ამას გარკეებული პროცესის შედეგად, იმ მომენტში, როდესაც ჩვენ შევეხებით ამ საკითხს, ჩვენ შევეხებით არა რაიმე გრძნობას, არამედ ფაქტს; ეს ფაქტი არის ის, რომ ყველაფერი დამოკიდებულია დმერთის წყალობაზე.
- დ. „ამიტომ, გაბედულად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ მივიდოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის“ – ებრ. 4:16, შდრ. მუხ. 15; ლუკა 15:20-24.
- ე. თავის უზენაესობაში დმერთმა მამამ აღმოგვიჩინა ჩვენ წყალობა; ამიტომ, ჩვენ უნდა ვადიდოთ ის და თაყვანი ვცეთ მას მისი უზენაესი წყალობისათვის:
  1. მამაო, ვტკბებით შენი წყალობით. დილით ადრე, როგორც ნამით, ვახლდებით ჩვენ მისით. ვიკვებებით მისით და გიმლერით დიდებას შენ!“ – პიმზი 22, მე-5 კუპლეტი.
  2. „მამა, შენ მოგვეცი შენი წყალობა შენი სიყვარულითა და მადლით, და შენს წყალობაში შენი სახის წინაშე ჩვენ ვრჩებით. და შენი წყალობისათვის თაყვანს გცემთ შენ ჩვენი დღეების განმავლობაში და მარადიულად“ – პიმზი 21, მე-3 კუპლეტი.
- ვ. ჩვენ ვიყავით შექმნილი, რათა ვყოფილიყავით წყალობის ჭურჭლები პატივისათვის, და ჩვენში ყოფილიყო ქრისტე როგორც პატივის დმერთი (2 ტიმ. 2:20-21; რომ. 9:21), რათა პატივი გვეცა დმერთისათვის და ადამიანისათვის (მსაჯ. 9:9):

1. ჩვენ ვართ ჭურჭლები პატივისათვის არა ჩვენი არჩევანის თანახმად; ეს გამომდინარეობს ღმერთის უზენაესობიდან – რომ. 9:21.
  2. მორწმუნები არიან ჭურჭლები პატივისათვის, მათში არის ქრისე როგორც მათი საგანძურო, ხელახლაშობის წყალობით – 2 კორ. 4:6-7.
  3. მორწმუნები არიან ჭურჭლები წყალობისათვის იმის მეშვეობით, რომ მათ განიწმიდეს თავი უპატივო ჭურჭლებისაგან – 2 ტიმ. 2:20-21.
  4. ჭურჭლები პატივისათვის არიან ისინი, ვინც პატივს სცემს ღმერთს, ცხოვრობს და დადის სულით (გალ. 5:16, 25), და ისინი, ვინც პატივს სცემს ადამიანებს, მიაქვს მათთან სული (2 კორ. 3:6, 8).
- ბ. ჩვენ ვიყავით შექმნილი, რომ ვყოფილიყავით წყალობის ჭურჭლები დიდებისათვის, რათა ჩვენში ყოფილიყო ქრისტე როგორც დიდების ღმერთი:
1. დიდება არის თვითონ ღმერთი გამოხატული და გამოვლენილი – იერ. 2:11; საქმე. 7:2; ეფეს. 1:17; 1 კორ. 2:8; 1 პეტ. 4:14; კოლ. 2:9; ფსალ. 24:7-10.
  2. უფალს შეეძლო, ეთქვა მამისათვის: „მე განგადიდე დედამიწაზე, აღვასრულე საქმე, რომელიც მომეცი გასაკეთებლად“ (იოანე 17:4); ეს აღნიშნავს, რომ უფალი, როდესაც ის ცხოვრობდა დედამიწაზე, ავლენდა და გამოხატავდა მამას.
  3. ქრისტეს ღვთაებრიობის დიდების გამონთავისუფლება (ლუკა 12:49-50) იგივეა, რაც, რომ მამამ განადიდოს ის ღვთაებრივი დიდებით (იოანე 12:23-24) მის აღდგომაში (საქმე 3:13) მისი სიკვდილის მეშვეობით; თავის განდიდებაში ქრისტე, უკანასკნელი ადამი, გახდა მაცოცხლებელი სული თავისი ღვთაებრივი დარიგებისათვის (იოანე 7:39; ლუკა 24:26, 46; 1 კორ. 15:45ბ; 2 კორ. 3:6).
  4. როგორც წყალობის ჭურჭლები პატივისა და დიდებისათვის, ჩვენ მომზადებული ვართ ღმერთის მიერ დიდებისათვის განდიდების მეშვეობით – ღმერთის სრული გადარჩენის ბოლო ეტაპისათვის – რომ. 8:21, 23, 29-30; ფილიპ. 3:21.
  5. თავისი უზენაესი ძალაუფლების თანახმად, ღმერთმა შეგვერდნა, გამოგვსახა და გაგვაკეთა კიდევაც ჩვენ თავისი დიდებისათვის – ესაია 43:7; რომ. 9:23:
    - ა) ჩვენ ვიყავით წინასწარგანსაზღვრულნი მისი უზენაესობის თანახმად, რომ ვყოფილიყავით მისი კონტეინერები მისი დიდებული გამოხატულებისათვის და გამოვლინებისათვის.
    - ბ) ეს არის მწვერვალი იმისათვის, რომ ჩვენ გამოსადეგი ვიყოთ ღმერთისათვის – ღმერთისმიერი ამორჩევის მიზნისათვის ღმერთს უზენაესი ძალაუფლების თანახმად – მუხ. 11, 18.
    - გ) ღმერთის განდიდება არის ჩვენი მსახურების მიზანი – 7:6; 11:36.
    - დ) უმაღლესი მსახურება რომელიც ჩვენ შეგვიძლია აღმოვუჩინოთ ღმერთს, არის ის, რომ გამოვხატოთ ღმერთი მისი დიდებისათვის – 1 კორ. 6:20; 10:31; რომ. 6:4.

- გ) ღმერთის დიდება ჩანერგილია ეკლესიაში, და ღმერთი  
გამოხატულია ეკლესიაში, ამიტომ ღმერთს – დიდება ეკლესიაში;  
ანუ, ღმერთი განდიდება ეკლესიაში – ეფე. 3:16, 20-21.
6. ჩვენ გვაქვს ეს საგანძურო, ქრისტე როგორც დიდების ღმერთი,  
რომელიც მკვიდრობს ჩვენში, თიხის ჭურჭლებში (2 კორ. 4:7); „ეს  
საგანძურო“ (მუხ. 7), რომელიც მკვიდრობს ჩვენში, არის „იესო  
ქრისტეს სახე“ (მუხ. 6), ქრისტეს თანდასწრება, „ქრისტეს პიროვნება“  
(2:10).
7. როდესაც ჩვენ ვაბრუნებთ ჩვენს გულს უფლისაკენ, ჩვენ ვუმზერთ  
უფალ სულს როგორც ქრისტეს თანდასწრებას ჩვენს სულში და ჩვენ  
„გარდავისახებით იმავე სახებად დიდებიდან დიდებისაკენ ისე,  
როგორც უფალი სულისაგან“ – 3:16-18; შდრ. 2 ტიმ. 4:22.
8. ვუმზიროთ უფლის დიდებას – ნიშნავს, რომ ჩვენ დავინახოთ უფალი;  
ავირეკლოთ უფლის დიდება – ნიშნავს გავაკეთოთ ისე, რომ სხვებმა  
დაინახონ ის ჩვენი მეშვეობით – ესაია 60:1, 5.